# 28 აგვისტოს მარიამობაა — გილოცავთ!




მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №15-16(101-102) 2015 წ. 1-31 აგვისტო ფასი 1 ლარი

# „ინფრასტრუქტურა-2015“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

## სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა აქტიურად მიმდინარეობს. **ქ. საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე** მდებარე საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოებისთვის „რეგიონული განვითარების ფონდიდან“ 150 000 ლარი გამოიყო. რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება.





**გომბორში** მდებარე საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოებისთვის რეგიონული განვითარების ფონდიდან 90 000 ლარი გამოიყო. რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება.





**სოფ. მანავში** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების „რეგიონული განვითარების ფონდიდან“ არის გამოყოფილი.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნალი-2013“ აწარმოებს და შენობის სრული რეაბილიტაციისთვის ჯამში 150 ათასი ლარი დაიხარჯება.

რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება.

**ნომერი ათზერდიანია**

# „ინფრასტრუქტურა-2015“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

## სასოფლო გზები



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის **სოფელ გიორგიწმინდაში** შიდა გზების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს, რომელიც 950 მ სიგრძის გზის მონაკვეთის მოასფალტებას გულისხმობს. აღნიშნული სამუშაოებისთვის 150 000 ლარი „რეგიონული განვითარების ფონდიდან“ გამოიყო. პროექტის ფარგლებში სოფელ გიორგიწმინდაში მოეწყობა სანიაღვრე არხები და განიტვირთება შიდა ცენტრალური ქუჩა, რაც უზრუნველყოფს 2600 ბენეფიციარის შეუფერხებელ და უსაფრთხო გადაადგილებას.



**საქართველოს** მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა, კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გიორგი ქოქიაშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს. ქ. ***საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩაზე, სოფ. ბადიაურში, კაკაბეთსა და გიორგიწმინდაში ასფალტის საფარის მოწყობა, ქ.საგარეჯოში მშვიდობის ქუჩაზე, სოფ. წყაროსთავსა და აჭარლების უბანში ჭაბურღილის მოწყობა,*** ეს არის იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი, რომლებიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან გიორგი გზირიშვილთან ერთად მოინახულეს.





**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის **სოფელ ბადიაურში** საავტომობილო გზის მოასფალტება მიმდინარეობს. პროექტს, რომლის ღირებულება 350 000 ლარს შეადგენს, „რეგიონული განვითარების ფონდის“ დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში განიტვირთება შიდა ცენტრალური ქუჩა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის შეუფერხებელ და უსაფრთხო გადაადგილებას.





მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

## მოისმინეს ანგარიში

## არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 ივლისის სხდომა ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარემ* ფრიდონ ბურდულმა** გახსნა. მან სხდომის მონაწილეთ სხდომის დღის წესრიგი გააცნო, რომელიც მრავალფეროვანი სპექტრით იყო წარმოდგენილი. აქ იყო საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების მოხსენებები – „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან ერთი წლის მუშაობის ანგარიში, მსჯელობა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განხორციელებული მთელი რიგი სამუშაოების მიმოხილვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ ახალი თავმჯდომარის არჩევისა და ფრაქციის ცვლილების შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს წევრმა, იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ* ივანე ქვრივიშვილმა.** მოხსენების გაცნობის შემდეგ საკრებულომ ცნობად მიიღო 2015 წლის 24 ივლისიდან ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის ბესიკ მარტიაშვილის გადარჩევა და ფრაქციის თავმჯდომარედ კახაბერ ადუაშვილის არჩევა. ამასთან, ფრაქციის ახალ წევრად დეპუტატ სოსო ჭიკაძის მიღება.

საკითხის ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ გაუქმების შესახებ“*** გაცნობის შემდეგ საკრებულომ ცნობად მიიღო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „დემოკრატების“ დაფუძნება და მის თავმჯდომარედ გოჩა ჩერქეზიშვილის არჩევა 2015 წლის 29 ივლისიდან.

სხდომაზე საკრებულომ ცნობად მიიღო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის შვეიცარიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „მოლი კახეთში“ ორგანიზებულ სასწავლო ტურში მონაწილეობის მიღების შესახებ.

***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის № 76 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“*** დადგენილების პროექტზე მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა* ხათუნა ყორღანაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, აღნიშნული დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის № 1504 განკარგულებით ინფრასტუქტურული პროექტების დაფინანსების შემცირებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შემცირდა 292641 ლარით, გადასახდელები 292641 ლარით, კერძოდ შემცირდა გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან – საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის № 39 განკარგულებას მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის № 1504 განკარგულებით გამოაკლდა 292641 ლარი, ტენდერებში ვაჭრობის პროცესში დაკლებული თანხა შემდეგნაირად:

– სოფ. პატარძეულში ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობა – 10568 ლარი;

– ქ. საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 27348 ლარი;

– სოფ. მანავის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 18729 ლარი;

– სოფ. გომბორში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 14416 ლარი;

– ქ. საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩაზე ასფალტის საფარის და ტროტუარების მოწყობა – 48130 ლარი;

– სოფ. ბადიაურში ასფალტის საფარის მოწყობა – 53051 ლარი;

– სოფ. კაკაბეთში ასფალტის საფარის მოწყობა – 86051 ლარი;

– საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა – 34348 ლარი.

– 2016 წელს ბიუჯეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები ქ. საგარეჯოს სტადიონის რეაბილიტაციის პროექტირებისთვის გამოყოფილი 16000 ლარი და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტებისთვის გამოყოფილი 26000 ლარი მიიმართა 2016 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების, კერძოდ, დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი 6 კმ-იანი გზის და სოფ. შიბლიანში 3,5 კმ-იანი გზის მონაკვეთის მოასფალტების და სანიაღვრე არხების დაპროექტებისთვის.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის ანაზღაურება შემცირდა 9200 ლარით ვაკანსიების ხარჯზე და 9200 ლარი გადანაცვლდა შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასში.

მოხსენების ირგვლივ შეკითხვები დასვეს საკრებულოს წევრებმა გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა და ბესო მარტიაშვილმა.

საკრებულოს სხდომაზე საკითხის ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დახმარების 2015 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსმა* სოფიო შაქარაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის ბიუჯეტში განსახორციელებელი შიდა ცვლილებების გამო. 1) სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობის და ოპერაციების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 91200 ლარი. მოხდა 20000 ლარის გადანაცვლება ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მედიკამენტების დასაფინანსებლად – თანხა გახდა 55000 ლარი.

1200 ლარის გადანაცვლება მოხდა დიალეზზე მყოფ მოქალაქეთა ტრანსპორტირებისათვის – თანხა გახდა 15800 ლარი.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის და ოპერაციების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 70000 ლარი.

***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ* ელდარ მეფარიძემ.**

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულომ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

**სხდომაზე** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა მოისმინეს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის* ფრიდონ ბურდულის** ანგარიში 2014 წლის ივლისიდან–2015 ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ. ამ მოხსენებას ვრცლად გთავაზობთ:.

**– მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ–პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი პარამეტრი, განმსაზღვრელი მოცემულობა – ეს ჩვენი ბიუჯეტია. მიმდინარე 2015 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ჩვენი საკრებულოს და მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დეტალურად იქნა განხილული მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა, გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები, პრობლემები, სასწრაფოდ და გადაუდებლად შესასრულებებლი სამუშაოები, შედგა მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები და ყველაფერი ეს აისახა ბიუჯეტში.**

**2015 წლის ძირითადი საფინანსო დოკუმენტის მოცულობა შეადგენს 12 598 499 ლარს, რაც 15,6%–ით მეტია 2014 წლის ბიუჯეტის ფაქტიურ შესრულებაზე (2014 წელს ეს მაჩვენებლი შეადგენდა 10 890 240 ლარს). სოციალური სფეროს მომსახურეობისათვის გათვალისწინებულია 824 649 ლარის ათვისება, რაც 20,6 %–ით მეტია გასულ წელთან შედარებით (გასულ წელს ამ მიმართულებით გახარჯული იყო 685 306 ლარი), გასულ წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე გაიხარჯა 4 484 199 ლარი, მიმდინარე წელს ამ მიმართულებით დაგეგმილია 5 705 700 ლარის ათვისება, რაც გასულ წელთან შედარებით 12.7%–ით მეტია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საქმეში გაიზარდა ადგილობრივი შემოსავლების ხვედრითი წილი– 1 794 154 ლარი, ნაცვლად გასულ 2014 წელს გახარჯული 1 190 842 ლარისა ,ანუ 50%–ით მეტი.**

**მიმდინარე წელს სერიოზულად გაუმჯობესდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება, თუ 2014 წელს ამ მიმართებით დაიხარჯა 1 511 618 ლარი, მიმდინარე წელს გათვალისინებულია 1 573 000 ლარის ათვისება, ანუ 4.1%–ით მეტი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს სკოლამდელ დაწესებულებებს დაემატათ 23,5 საშტატო ერთეული, რამაც საშუალება მოგვცა დაგვესაქმებინა 44 პიროვნება. გაიზარდა ამ დაწესებულებებში გაერთიანებული ბავშვების რაოდენობაც.**

**მიმდინარე წელს გაიზარდა როგორც „სპორტული გაერთიანების” დაფინანსება–2015 წელს 507 729 ლარი(2014 წელი 437 927 ლარი) ანუ 15,9%–ით მეტი, ასევე „კულტურის ობიექტების გაერთიანების” დაფინანსება, რომელმაც მიმდინარე წელს 378 820 ლარი შეადგინა (გასულ წელს 374 444 ლარი), ანუ 1,1%–ით მეტი.**

**გასული წლის დეკემბერში საკრებულომ გამოაცხადა კონკურსი რვა ვაკანტურ თანამდებობაზე აპარატში, კონკურსში მონაწილეობა მიიღო 115–მა პრეტენდენტმა. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგად შეირჩა შესაბამისი კადრი და დაინიშნა რვავე თანამშრომელი. მიმდინარე წლის ივნისში საკრებულოს აპარატის რვა თანამშრომელმა გაიარა ატესტაცია. ყველა მათგანმა წარმატებით გადალახა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისათვის დაწესებული ნორმები და შეინარჩუნეს თანამდებობები. საანგარიშო პერიოდში ერთმა დეპუტატმა – დავით კაკუტაშვილმა სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით მოიხსნა სადეპუტატო უფლებამოსილება, მის მაგივრად საკრებულოში შემოვიდა დეპუტატი ბორის ჩართოლანი. ამჟამად როგორც საკრებულო, ასევე აპარატი სრულად არის დაკომპლექტებული.**

**საანგარიშო პერიოდში დეპუტატთა დასწრება სხდომებზე, მათი აქტიურობა საკითხების განხილვისას, დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. აღსანიშნავია საკრებულოს აპარატის, როგორც საერთო, ასევე თითოეული თანამშრომლის პუნქტუალური, კომპეტენტური და ორგანიზებული მუშაობა.**





**საკრებულოში გაერთიანებული ვართ სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მყოფი პოლიტიკური ძალები. ისიც, ბუნებრივია, რომ მთელ რიგ საკითხებზე გვაქვს განსხვავებული, ზოგჯერ რადიკალურად სა-**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

№15-16(101-102) 2015 წელი, 1-31 აგვისტო

მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა მოისმინეს ანგარიში

## არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ

<u>გაგრძელება</u>

პირისპირო შეხედულებები და მიდგომები. არის მსჯელობა, კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ არასოდეს ადგილი არ ჰქონია ღირსების შემლახავ, ურთიერთშეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, მიმართვებსა, თუ განცხადებებს. ყველა საკითხის განხილვა ხდება კონსტრუქციულ ვითარებაში და მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, გულწრფელი მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ ფრაქციას, თითოეულ დეპუტატს ამგვარი მიდგომისათვის და პირობა დავდოთ, რომ ჩვენი შემდგომი მუშაობაც ანალოგიურ ვითარებაში გაგრძელდება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია საკრებულოს 28 სხდომა, მათ შორის 16 რიგგარეშე. განხილულია და გამოტანილია შესაბამისი დადგენილება, თუ განკარგულება 265 საკითხის თაობაზე.

ერთი წლის განმავლობაში საკრებულოში შემოსულია 172 განცხადება, ყველა განცხადებაზე გატარებულია შესაბამისი რეაგირება.

მიმდინარე წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ ფრაქცია „ნაციონალმა" შეიტანა სარჩელი საკრებულოს ნორმატიული აქტის – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" 51–ე მუხლის ბათილად ცნობის შესახებ. სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი.

საკრებულოში შექმნილია 5 მუდმივმოქმედი კომისია: იურიდიულ საქმეთა კომისია, საბიუჯეტო კომისია, სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია; ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია, აგრეთვე საკრებულოსთან არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისია. კომისიებში გაერთიანებულია 29 დეპუტატი. კომისიები რეგულარულად ატარებენ სხდომებს. იხილავენ მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს. ამზადებენ და საკრებულოს ბიუროს წარუდგენენ შესაბამის დასკვნებსა და გადაწყვეტილებების პროექტებს. თითოეულ კომისიას წარმოდგენილი აქვს ანგარიში საანგარიშო პერიოდში მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ხუთივე კომისიას საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს 122 სხდომა. საერთო ჯამში განხილულია 1267 საკითხი.

რამდენიმე წელია მუნიციპალიტეტში პრაქტიკულად არ ხორციელდება ფსიქიატრიის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული კომპონენტი. ჩვენს მოსახლეობასა და შესაბამისად ფსიქიური ავადმყოფების კონტიგენტს ემსახურება ფსიქიატრიის ინსტიტუტი ქ.თბილისში. ტერიტორიული დაშორების გამო 900-მდე პაციენტიდან პროგრამაში შემავალ დახმარებას იღებს მხოლოდ 50–მდე პაციენტი, დანარჩენები ვერ სარგებლობენ ფსიქიატრთან უფასო ვიზიტით, უფასო მედიკამენტებით და სხვა. გართულებულია აგრეთვე მწვავე ავადმყოფების მოთავსება სტაციონარში, გართულებულია შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა სამედიცინო ექსპერტიზა. მოსახლეობისთვის გაძნელებულია სამედიცინო ცნობის მიღება იარაღის შეძენის ნებართვისათვის და მართვის მოწმობის მისაღებად, გართულებულია, ასევე, სამედიცინო დოკუმენტაციის გაცემა სოციალური მომსახურების სააგენტოში იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი ან სურთ ამ სტატუსის მოპოვება.

ყველა ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ჩვენ მივმართეთ საქართველოს შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს, – აღადგინოს ფსიქიატრიის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული კომპონენტის მოქმედება ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტა სრულად მოხსნის ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია სისტემატურად ისმენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს თვეებისა და კვარტლების მიხედვით ნაზარდი ჯამით, ასევე ბიუჯეტში ადგილობრივი შესყიდვების ცვლილებების შეტანის და სხვა მიმდინარე საკითხებს.

ყველა ჩვენთაგანისთვის ნაცნობია და მეტად მტკივნეული, რაიონში არსებული ტყის საფარის საგანგაშო მდგომარეობა. ამ მიმართებით სერიოზული მუშაობა ჩაატარა იურიდიულმა კომისიამ, რომელმაც მაღალ დონეზე ასწია ეს საკითხი, დაუკავშირდა გარემოს დაცვის სამინისტროს, სატყეო დეპატრამენტს, დაისახა სერიოზული ზომები და ღონისძიებები. იმედს გამოვთქვავ, რომ ჩვენი, ყველას ერთობლივი მუშაობით რადიკალურად შეიცვლება უკეთესობისაკენ დღეს არსებული მდგომარეობა.

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიისა და ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ერთობლივი მცდელობითა და ინიციატივით დაიგეგმა და მიმდინარე წელს მოხდება სოფ.წყაროსთავში და ე.წ აჭარელთა დასახლებაში სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა და მოსახლეობის წყლით მომარაგების საგრძნობი გაუმჯობესება.

საკრებულოსთან არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 17 სხდომა, განხილული იქნა მასალები 365 პირის მიმართ. დაკმაყოფილდა 345 განცხადება. 18 მოქალაქეს უარი ეთქვა მასალების კანონთან შეუსაბამობის გამო, ხოლო 2–მა მოქალაქემ ვერ შეძლო დაწესებული გადასახადის გადახდა, რაც უარის თქმის საფუძველი გახდა. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში შესულია დაახლოებით 75 000 ლარი.

2014 წლის ოქტომბერში საკრებულოს № 123 განკარგულებით შექმნილი იქნა „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვის დროებითი სამუშაო ჯგუფი". აღნიშნულმა ჯგუფმა 6 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სრულად აღწერა საკუთრებაში არსებული ქონება, გამოავლინა და აღმოფხვრა ქონების აღრიცხვის საქმეში არსებული ხარვეზები.

მიმდინარე წლის საკრებულოს № 28 განკარგულებით შეიქმნა აგრეთვე „სოფ. უდაბნოს სასმელი წყლით მომარაგებაში არსებული პრობლემების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი". სამუშაო ჯგუფმა გამოავლინა სერიოზული პრობლემები ამ მიმართებით. აღმოჩნდა, რომ სოფ. თოხლიაურში მდებარე არტეზიული ჭაბურღილები, საიდანაც ხდება სოფ. უდაბნოს წყალმომარაგება დაზიანებული და ამორტიზირებულია. დაზიანებულია საქაჩ–სატუმბი სადგურის შენობები. მილსადენის მაგისტრალის გასწვრივ აშენებულია 29 მეცხოველეობის ფერმა, რომლებიც უნებართვოდ დაერთებულნი არიან წყლის აღნიშნულ მაგისტრალზე.. მთელ რიგ მონაკვეთებზე მილსადენი დაზიანებულია, ხდება წყლის დიდი რაოდენობის გადინება. სამუშაო ჯგუფის დასკვნით მილსადენის ექსპლუატაცია დღევანდელი მდგომარეობით ყოვლად დაუშვებელია.

საკრებულოში შექმნილია 8 ფრაქცია. ყველა დეპუტატი გაერთინებულია შესაბამის ფრაქციაში.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ხელმძღვანელობის, მთელი საკრებულოს, საკრებულოს აპარატის პირველი რიგის ამოცანა იყო და არის გამოგვეკვეთა მუნიციპალიტეტის საჭირო პრიორიტეტები, აქცენტები გადაგვეტანა ყველაზე აუცილებელ აქტუალურ და უმოკლეს ვადებში გადასაწყვეტ საკითხებზე და ყველაფერი ეს მიმართული ყოფილიყო მოსახლეობის სოციალურ–კულტურული და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გაიზარდა სოციალური სფეროს მომსახურეობისათვის გათვალისწინებული სუბსიდირება, აქვე მინდა აღვნიშნო რომ, რაოდენობრივ (თანხობრივ გამოხატულებაში) ზრდასთან ერთად, დაემატა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები და მიმართულებები, როგორიცაა:

1. ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო დახმარება;

2. პირველ და მეორე შვილის დაბადებაზე ოჯახების დახმარება (0–დან 100000 ქულამდე).

3. მარტოხელა მშობლების სტატუსის მქონე პირებზე დახმარება (57000–დან 100000 ქულამდე).

4. სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის,

5. კორონოგრაფიისა და ბირთვულ–რეზონანსული გამოკვლევების დაფინანსება;

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახებისთვის თავშესაფრის მოსაწყობად ქ.საგარეჯოში ყოფილი ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაცია, რაზეც 100000 ლარის ათვისებაა დაგეგმილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2015 წელს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სასწავლო–აღმზრდელობითი დაწესებულებების აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით დაგეგმილია 12 მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება:

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია – ქ.საგარეჯოში, სოფლებში მანავსა და გომბორში;

– სასმელი წყლის ჭაბურღილებისა და შიდა ქსელების მოწყობა–სოფლებში პატარძეულში, წყაროსთავსა და ე.წ აჭარლების უბანში;

– ასფალტის საფარისა და ტროტუარების მოწყობა–ქ.საგარეჯოში (ერკელე მე–2 და თამარ მეფის ქუჩებში), სოფლებში: გიორგიწმინდაში, ბადიაურსა და კაკაბეთში;

– სასმელი წყლის სათავე–ნაგებობებისა და შიდა ქსელის მოწყობა–სოფლებში: ხაშმში და კაკაბეთში;

გარდა ამისა, მიმდინარე წელს დაიწყება ქ.საგარეჯოს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის შეკეთება–რეაბილიტაცია, რაზეც დაახლოებით 9 მილიონი ლარის სამუშაოები შესრულდება. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად ქ.საგარეჯოს თითოეული კომლი უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით 24 საათის განმავლობაში.

<u>„სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით განსახორციელებელ პროგრამებზე მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 1 012 216 ლარის სამუშაოების შესრულება</u>, კერძოდ:

– სასმელი წყლით მომარაგების სისტემების რეაბილიტაცია–შეკეთება–სოფლებში – გომბორში, ასკილაურში, ოთარაანთკარში, გორანაში, იკვლივ–გორანაში, მუხროვანში, პატარძეულში, დუზაგრამაში, პალდოში, წიწმატიანსა და ლამბალოში;

– სოფლამდე მისასვლელი და შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა–რეაბილიტაცია სოფლებში – რუსიანში, ვერონაში, ვაშლიანში და ბადიაურში;

– სარწყავი არხების აღდგენა სოფლებში – სასადილოში, პალდოში, იორმუღანლოში; სასაფლაოების შემოღობვა სოფლებში – კოჭბანსა და თულარში;

– სარიტუალო დარბაზების მოწყობა და ინვენტარის შეძენა სოფლებში – უჯარმაში, მზისგულსა და უდაბნოში;

– საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს მოწყობა სოფლებში – ნინოწმინდასა და ბადიაურში;

– გარე განათების მოწყობა სოფლებში წყაროსთავსა და გიორგიწმინდაში;

– საექიმო ამბულატორიების მოწყობა სოფლებში – გიორგიწმინდასა და შიბლიანში;

– ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება სოფელ თულარში;

აღნიშნული პროექტების განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურას, მოსახლეობის სოციალური მომსახურეობის მდგომარეობას, ქ.საგარეჯოში და უმრავლეს დასახლებულ პუნქტებში მოხსნის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებში არსებულ პრობლემებს. ყველა ამ პროექტის დროულად და სრულფასოვნად შესრულების საქმეში თითოეულ ჩვენთაგანს, თითოეულ დეპუტატს დაგვჭირდება ძალების სრული მობილიზაცია და ძალიან დიდი ძალისხმევა, ვინაიდან დაგვიანდა პროექტების, როგორც პროექტირება, ასევე ტენდერების ჩატარება და აქედან გამომდინარე, სამუშაოების დაწყება. აღნიშნული ვითარების შექმნა გამოწვეულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით. მთავარია, ახლა ვიმოქმედოთ იმისათვის, რომ ყველა ეს პროექტი დროულად და სრულყოფილად განხორციელდეს, ამ საქმეში ყველაზე მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინონ მაჟორიტარმა დეპუტატებმა, რომლებმაც ადგილზე სრული კონტროლი უნდა დააწესონ მათ სამოქმედო არეალში განსახორციელებელ პროექტების შესრულების მიმდინარეობაზე.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე „ადამიანი, კანონი, თავისუფლება" პროექტის „ახალგაზრდული თვითმმართველობის ინიციატივა – 2015" ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ჩამოყალიბდა „ახალგაზრდული საკრებულო". საკრებულო დაკომპლექტდა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე XI-XII კლასელებით მთელი მუნიციპალიტეტიდან. ახალგაზრდულ საკრებულოში გაერთიანდა 36 ახალგაზრდა, დღეისთვის უკვე ჩატარებულია 4 სხდომა. მოგვარებულია საორგანიზაციო საკითხები–არჩეულია თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, შექმნილია და დაკომპლექტებულია კომისიები. „ახალგაზრდული საკრებულო" აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს საკრებულოსთან. ეს ახალგაზრდები ზაფხულში გაივლიან ტრენინგებს არჩევნებისა და მისი მნიშვნელობის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის, ლიდერობის, მედიასთან ურთიერთობის, დიპლომატიური ურთიერთობებისა და კავკასიოლოგიის შესახებ. ამ პროექტის წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას, მათ აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას, ახალგაზრდების გათვითცნობიერებას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, ახალგაზრდა ლიდერების წარმოჩენას, მათ ჩართვას საარჩევნო პროცესში.

წარმოგიდგენთ რა გაწეული მუშაობის წლიური ანგარიშს, სულაც არ ვცდილობ იდეალურად დავხატო სურათი. ჩვენს მუშაობაში არის სერიოზული ხარვეზები. პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, – ეს არის გამგეობიდან ხშირად ვადების დარღვევით შემოსული საკითხები. საკითხების დაგვიანებით შემოსვლის გამო ვერ ხერხდება მათი სრულფასოვანი და დეტალური განხილვა კომისიებში, იქმნება ფორსმაჟორული სიტუაციები და აქედან გამომდინარე, ვიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს. მეორე საკითხი, რაზეც მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, ეს არის ფრაქციების არასათანადო მუშაობა. ჩემი აზრით, ფრაქციები ნაკლებად იხილავენ მუნიციპალიტეტში ჩვენი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, არ მუშავდება წინადადებები, არ შემოდის ბიუროზე განსახილველად გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების პროექტები.

დასასრულ, ბატონმა ფრიდონ ბურდულმა მადლობა გადაუხადა დეპუტატებს გაწეული მუშაობისათვის და გამოთქვა იმედი, რომ თითოეული დეპუტატი, კომისიები ფრაქციები და საკრებულოს აპარატი მომავალში უფრო გულისხმიერად მოეკიდებიან მათდამი გამოჩენილ დიდ ნდობას, გაითვალისწინებენ მუშაობაში არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, ყველაფერს გაა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

გარეჯის მაცნე

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა მოისმინეს ანგარიში

## არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ

გაგრძელება

**კეთებენ, რათა დადებითად გადაწყვიტონ არსებული საკითხები და პრობლემები, რაც საშუალებას მისცემს საბოლოო ჯამში საგრძნობლად გააუმჯობესონ მუნიციპალიტეტში სოციალურ–ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული ვითარება, ნაწილობრივ მაინც დაძლიონ დასაქმების პრობლემა, აამაღლონ მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა.**

**სხდომაზე** ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ* ივანე ბეჟიაშვილმა** გააკეთა მოხსენება კომისიის მიერ 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ

**როგორც მან აღნიშნა**: – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია შეიქმნა საკრებულოს 2014 წლის 22 ივლისის № 58 განკარგულებით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იყო ბატონი გოჩა ჩერქეზიშვილი. საკრებულოს 2014 წლის 28 ნოემბრის № 156 განკარგულებით კომისიის თავმჯდომარედ აირჩა ივანე ბეჟიაშვილი. კომისიის წევრები არიან: დეპუტატები ვეფხია ჩერქეზიშვილი, ზურაბ ქურთიშვილი, კაზამფარ მამედოვი, თამარ სუხიაშვილი, გოჩა ჩერქეზიშვილი.

საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის № 38 განკარგულებით კომისიაში შევიდა ცვლილება და კომისიის წევრებს დაემატა ბორის ჩართოლანი.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ წლის განმავლობაში იმუშავა მოქმედი კანონმდებლობის, საკრებულოს რეგლამენტის, კომისიის დებულებების შესაბამისად და კომისიის მიერ შემუშავებული და საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული კვარტალური გეგმების მიხედვით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე ჩაატარა 13 სხდომა და განიხილა 24 საკითხი.

კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1)კომისიის 2014 წლის მე–4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“. სამუშაო გეგმა წარედგინა საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

2) „ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ქალბატონ ლეილა ოთარაშვილის მომართვის განხილვის შესახებ“ აღნიშნულ მომართვაში ქალბატონი ლეილა ოთარაშვილი ითხოვდა დახმარებას ყოფილი რაი–საავადმყოფოს ავარიული შენობის დაზიანებული სახურავის შეკეთებაზე, რომლის მესამე სართულზეც განლაგებულია ჯანდაცვის ცენტრი. აღნიშნულ საკითხზე კომისიის მიერ გაიცა დადებითი დასკვნა.

საკითხი განხილულია საკრებულოს სხდომაზე და მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

3) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის 02/791 05.11.2014 მომართვის განხილვის შესახებ.“ აღნიშნულ მომართვაში გამგეობა ითხოვდა თანხმობას სს. „ლიბერთი ბანკისთვის“ იჯარის ხელშეკრულებით, პირდაპირი განკარგვის წესით ერთი წლის ვადით 3მ2 ფართის გადაცემაზე, რომელიც მდებარეობს ქ. საგარეჯოში აღმაშენებლის ქ. 15 აღნიშნული ფართი ბანკს ესაჭიროებოდა ბანკომატის განსათავსებლად.

4) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის 02/793 05.11.2014 მომართვის განხილვის შესახებ.“ აღნიშნული მომართვით გამგეობა შემოვიდა წინადადებით, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას უსასყიდლოდ აღნაგობის ხელშეკრულებით, პირდაპირი განკარგვის წესით 99 წლიანი ვადით გადაეცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ.ნინოწმინდის სკოლის ტერიტორიაზე მდებარე ძველი სკოლის შენობა ფართით 986მ2 საკადასტრო კოდი 55.13.51.255

5) „კომისიის მიერ 2014 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“.

6) „კომისიის 2015 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“. სამუშაო გეგმა წარედგინა საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

7) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით (თხოვება) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

აღნიშნული მომართვა ეხებოდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის № 337 დადგენილებას – 2015 წლის 1 იანვრიდან შსს–ს შემადგენლობაში შეიქმნა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, ხოლო საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 56 პუნქტი 3, ქვეპუნქტი „გ“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულები არიან სააგენტოს გადასცენ მათ დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ანდა სამაშველო სამსახურის დანაყოფების კუთვნილი უძრავი და მოძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები, მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, სამსახურებრივი დოკუმენტაცია და სხვ.)

8) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის (2015 წლის 21 იანვრის 02/46) მომართვის განხილვის შესახებ“.

9) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის (2015 წლის 23 იანვრის 02/58) მომართვის განხილვის შესახებ“.

10) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის (2015 წლის 23 იანვრის 02/59) მომართვის განხილვის შესახებ“.

აღნიშნულ მომართვებში გამგეობამ საკრებულოს მიმართა წინადადებით, რომ საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებული იქნას სხვადასხვა ობიექტები და წარმოადგინა მუნიციპალიტეტის ახალი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.

11) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასის და წლიური საიჯარო ქირის დადგენის შესახებ“.

12) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესის დამტკიცების შესახებ“.

13) „აუქციონში გამარჯვებული დამადასტურებელი ოქმის და საკუთრების დამადასტურებელი მოწყობის ფორმების დამტკიცების შესახებ“.

14) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაზიანებული ტრაქტორის ქალაქ საგარეჯომდე ტრანსპორტირებისათვის საჭირო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შეასხებ“.

15) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის (2015 წლის 18 თებერვლის 02/215) მომართვის განხილვის შესახებ“. მომართვაში აღნიშნულია,რომ გამგეობამ განცხადებით მომართა მოქალაქე ფრიდონ კოხტაშვილმა, რომელსაც იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს 86 ჰა. მიწის ნაკვეთი მოქ. ფრიდონ კოხტაშვილი ითხოვდა ხელშეკრულების მოშლას და გამგეობას შესთავაზა ახალი გადახდისუნარიანი მოიჯარე გიორგი ბუციშვილი,რომელიც თანახმა იყო გაეგრძელებინა საიჯარო ურთიერთობა იმავე პირობით.

16) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის (2015 წლის 18 მარტის 02/392) მომართვის განხილვის შესახებ“. მიმართვა ეხებოდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მომართვას. ფონდს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაგეგმილი ჰქონდა სოფ. ნინოწმინდაში და სოფ. უდაბნოში სამონასტრო კომპლექსების მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, ამიტომ ითხოვდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამ მიწის ნაკვეთების უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 2 წლის ვადით გადაცემას.

17) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის (2015 წლის 18 მარტის 02/393) მომართვის განხილვის შესახებ“. მომართვა ეხებოდა მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სამი არასასოფლო–სამეურნეო მიწის ნაკვეთის დამატებას (საკ.კოდებით :55.12.53.129 55.06.55.033. 55.06.55.034 ორივე საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა კომისიამ და გაიცა დადებითი დასკვნა.

18) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის (2015 წლის 20 აპრილის 02/591) მომართვის განხილვის შესახებ“. მომართვა ეხებოდა მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში 103 ერთეული ხის მორის (მთლიანი მოცულობა 66.4 კუბ.მ) დამატებას. კომისიამ აღნიშნულ საკითხზეც გასცა დადებითი დასკვნა.

19) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის 28.04.2015 წლის 02/645 მომართვის განხილვის შესახებ“. მომართვაში აღნიშნულია, რომ გამგეობის 2015 წლის 24 აპრილის 02/627 მომართვაში შედის ცვლილება , ნაცვლად იჯარის ხელშეკრულებისა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს შორის ფორმდება ქირავნობის ხელშეკრულება. ერთი თვის ვადით ქირის ოდენობა განისაზღვრა 300 ლარით.

20) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვის განხილვის შესახებ“. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით დადგინდა ხარვეზი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ტრანსპორტის“ ლიკვიდაციის პროცესში, რომელიც დაიწყო მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2013 წლის განკარგულებით. შესაბამისად ხარვეზის შევსების მიზნით იცვლება ლიკვიდატორი (მისი სრული მონაცემებით) და ემატება საზოგადოების ელ–ფოსტა.

21) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის 30.04.2015 წლის 02/674 მომართვის განხილვის შესახებ.“ რაც შეეხება ამ საკითხს აღნიშნულ საკითხზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

22) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის 15.05.2015 წლის 02/816 მომართვის განხილვის შესახებ“. აღნიშნულ მომართვაში გამგეობა შემოვიდა წინადადებით, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შიბლიანში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართით 10000კვ.მ (საკ. კოდი 55.01.52.001) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 10 წლის ვადით გადაეცეს სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის საჯარო სკოლას. კომისიამ აღნიშნულ საკითხზე გასცა დადებითი დასკვნა.

23) „2015 წლის მე–3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.სამუშაო გეგმა წარედგინა საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

24) „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის 01.07.2015 წლის 02/1197 მომართვის განხილვის შესახებ“. მომართვა ეხებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ორი არასასოფლ-სამეურნეო მიწის ნაკვეთით დამატებას (საკ.კ.55.12.52.304 ფართით 24კვ.მ) და (საკ. კოდი. 55.07.59.0391 ფართით 1360კვ.მ) კომისიამ დაადგინა ,რომ საპრივატიზაციო ნუსხა საჭიროების რედაქტირებას და შემდეგი რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალტეტის გამგეობას.

კომისიაში შემოსულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქ. საგარეჯოში მცხოვრებთა 9 განცხადება ქონების (მიწის) საკითხთან დაკავშირებით. ყველა განცხადებაზე კომისიის მიერ გაცემულია პასუხი.

**სხდომაზე** ***მოსმენილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის* ნიკოლოზ ვაჭრიშვილის** ანგარიში ამავე კომისიის მიერ 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე გაწეული მუშაობის და სამომავლო პრიორიტეტების შესახებ. **როგორც მან აღნიშნა**: – კომისიამ 2014 წლის 14 ივლისიადან 2015 წლის 15 ივლისამდე ჩაატარა 28 სხდომა, სადაც განხილულ იყო 54 საკითხი. საკითხები ძირითადად ეხებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანალიზს თვეებისა და კვარტლების მიხედვით ნაზარდი ჯამით. ასევე, ბიუჯეტში და ადგილობრივ შესყიდვებში ცვლილებების შეტანას, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებულ შესყიდვებს, ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროგრამებში დამატებითი თანხების მოძიების, ამ კუთხით ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას და სხვა მიმდინარე საკითხებს. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 2014 წელს გაიხარჯა 3497,9 ათასი ლარი,2015 წელს კი დაგეგმილია 4480,4 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, რაც გასულ წელს ფაქტობრივ მონაცემთან შედარებით 28%–ით მეტია. ძირითადი პრიორიტეტები ინფრასტრუქტურულ პროექტებში არის გზების მშენებლობა, წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა. ასევე, სკოლამდელი დაწესებულებების (საბავშვო ბაღების) რეაბილიტაცია და ბავშვთა მომსახურების პირობების გაუმჯობესება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე და სოცილურ უზრუნველყოფაზე 2014 წელს გაიხარჯა 685,6 ათასი ლარი, ხოლო 2015 წელს დადგენილი გვაქვს გავხარჯოთ 824.6 ათასი ლარი, რაც გასულ წელთან შედარებით 20%–ით მეტია. ზემო აღნიშნულ პროგრამებს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე, სოციალური კუთხით, ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის განმავლობაში კიდევ დაემატება საჭირო თანხები. როგორც 2014 წლის, ასევე, 2015 წლის 6 თვეში ბიუჯეტმა ამ მიმართულებით რამდენჯერმე განიცადა ცვლილებები, რაც საფინანსო–საბიუჯეტო კომისიამ განიხილა სხდომაზე და მისცა დადებითი დასკვნები. ასე, მაგალითად: 2014 წლის 8 სექტემბრის სხდომაზე განხილულ იქნა უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების ხარჯების გაზრდა 10000 ლარით, რაზეც კომისიამ მისცა დადებითი დასკვნა. ასევე, ამავე სხდომაზე განვიხილეთ ქ. საგარეჯოს, სოფელ გიორგიწმინდის და ნინოწმინდის ქუჩებიდან საოჯახო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული ხარჯების დამატების საკითხი. ამ კუთხით მეოთხე კვარტალში საერთოდ აღარ იყო თანხები ბიუჯეტში გათვალისწინებული. ჩვენმა კომისიამ გამგეობის საფინანსო სამხასურთან ერთად მოვახდინეთ ბიუჯეტის კორექტირება სხვა და სხვა მუხლებში და მეოთხე კვარტლის დასუფთავების ხარჯებს დავამატეთ 97050 ლარი. 2014 წლის 23 ოქტომბერს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიამ განიხილა მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამაში ცვლილების შეტანის საკითხი. მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამა კიდევ დამატებით გაიზარდა 42000 ლარით, რაზედაც კომისიამ მისცა დადებითი დასკვნა. 2014 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე კომისიამ განიხილა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

## მოისმინეს ანგარიში

## არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ

**გაგრძელება**

ბიუჯეტის პროექტი. კომისიამ წარმოდგენილი პროექტი განიხილა და გარკვეული შენიშვნებით დაუბრუნა უკან საგარეჯოს მუნიციპალიტეტს. 2014 წლის 2 დეკემბერს სხდომაზე კიდევ ერთხელ შევიდა ცვლილება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, სახელმწიფო და ადგილობრივი შესყიდვების გეგმის გაზრდის კუთხით. 2014 წლის 16 დეკემბერს კომისიამ განმეორებით განიხილა 2015 წლის შესწორებული ბიუჯეტის პროექტი, სადაც გათვალისწინებული იყო ჩვენი კომისიის მიერ გაცემული შენიშვნები და რეკომენდაციები. ბიუჯეტის პროექტი სოციალური და ინფრასტრუქტურული კუთხით კიდევ უფრო გაიზარდა. აღნიშნულ პროექტს კომისიამ მისცა დადებითი დასკვნა.

2015 წლის 16 აპრილს კომისიამ განიხილა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის № 76 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის“ საკითხი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 3310994 ლარით, გადახდებში 3463081 ლარით. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის № 39 განკარგულებით 11 ინფრასტრუქტურული პროექტიდან დაფინანსდა 8 პროექტი, გამოყოფილია 2285015 ლარი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის № 506 განკარგულებით „სოფლის მხარდამჭერი“ პროგრამის ფარგლებში გამოიყო 1012296 ლარი. აღნიშნულ ცვლილებებს კომისიამ მისცა დადებითი დასკვნა. ამავე სხდომაზე კომისიამ მოისმინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. 2014 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში შესრულდა 101%–ით – დაზუსტებული გეგმიური 12232,4 ათასი ლარის ნაცვლად შემოსავალმა შეადგინა 12396,5 ათასი ლარი. გადასახდელების გეგმა შესრულდა 87%–ით (გეგმა 12504,8 ათასი ლარი, შესრულდა 10891,2 ათასი ლარი). გადასახდელების გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოიწვია „სოფლის მხარდამჭერი“ პროგრამების და ინფრასტრუქტურული პროექტების თანხების აუთვისებლობამ. ეს თანხები გადარიცხული იქნა 2015 წელში. 2015 წლის 20 მაისის სხდომაზე კომისიამ განიხილა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის № 76 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის“ საკითხი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის № 994 განკარგულებით და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების გაზრდით ადგილობრივი ბიუჯეტის წინა წლის ნაშთის შემცირების ხარჯზე ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 42000 ლარით, ხოლო გადასახდელები 443968 ლარით. აღნიშნულ ცვლილებებს კომისიამ მისცა დადებითი დასკვნა. ამავე სხდომაზე კომისიამ განიხილა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის სამი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. 2015 წლის სამი თვის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში შესრულებულია 84%–ით. დაზუსტებული გეგმიური 1758,4 ათასი ლარის ნაცვლად შემოსავლებმა შეადგინა 1486,6 ათასი ლარი. ასევე, არ შესრულდა ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა. სამი თვით დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით, ბიუჯეტი შესრულდა 82%–ით (გეგმა 2077,7 ათასი ლარი შესრულება 1694,9 ათასი ლარით) ამ საკითხზე კომისიაში გაიმართა მწვავე დისკუსია. საბოლოოდ კომისიამ გაითვალისწინა 2015 წლის 3 თვის ბიუჯეტის შეუსრულებლობის ობიექტური მიზეზები და 5 ხმით ერთის წინააღმდეგ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამი თვის ბიუჯეტის შესრულებას მისცა დამაკმაყოფილებელი დასკვნა. აქვე გაიცა რეკომენდაციები 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

2015 წლის 18 ივნისს კომისიამ განიხილა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის № 76 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის“ საკითხი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის № 1234 განკარგულებით ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტის წინა წლის ნაშთის შემცირების ხარჯზე ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 301829 ლარით, გადასახდელების კი 241288 ლარით. ამ ცვლილებებს კომისიამ მისცა დადებითი დასკვნა. 2015 წლის 1 ივლისს კი კომისიამ , ზემოთ აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილებების გამო, გასცა დადებითი დასკვნა „2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმაში საკრებულოს 2014 წლის 28 ნოემბრის № 149 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის“ თაობაზე.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის მუშაობის პრიორიტეტები იქნება ბიუჯეტის შემოსულობების მაქსიმალურად გაზრდა და ამ შემოსულობების მიზნობრივი ხარჯვა მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

**სხდომაზე *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის გაწეული სამუშაოს წლიური ანგარიში წარმოადგინა დეპუტატმა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ* ივანე ქვრივიშვილმა. <u>როგორც მან აღნიშნა:</u>**

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია შეიქმნა 2014 წლის 22 ივლისს. ***კომისიის თავმჯდომარედ საკრებულომ აირჩია* ალექსანდრე მეზვრიშვილი.**

კომისიას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და სამსახურის დებულებით, განესაზღვრა უფლება-მოვალეობები. 2014 წლის 4 აგვისტოს საკრებულოს სხდომაზე დადგინდა კომისიის პერსონალური შემადგენლობა:

1. მევლუდ დუჩიძე
2. ივანე ქვრივიშვილი
3. ჭაბუკა ჭანტურია
4. დავით არაბული
5. ნონა ბუზარიაშვილი
6. გულუ ჰაჯიევი
7. ნიკოლოზ ნაცვლიშვილი
8. კაზანფარ მამედოვი

იურიდიულ საკითხთა კომისიას გააჩნია კვარტალური გეგმები, რომლის მიხედვითაც დღემდე მუშაობს, ასევე ასრულებს გეგმის გარეშე სამუშაოს ასეთის არსებობის შემთხვევაში. მუშაობის პროცესში კომისია მისი უფლებამოსილების ფარგლებში სარგებლობს კანონთა კრებულით.

კომისია ამზადებს საკრებულოს სხდომისთვის სამართლებრივი აქტების პროექტებს, მის კომპეტენციაში შედის ასევე საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის, ახსნა–განმარტების მოსმენა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დასკვნის წარდგენა საკრებულოსათვის.

იურიდიულ საკითხთა კომისია იხილავს და საკრებულოს სხდომისთვის გასახილველად ამზადებს საკრებულოს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსული და საკრებულოს მიერ ინიცირებულ საკითხებს, იხილავს მოქალაქეების მიერ შემოსულ განცხადებებს, აძლევს მათ შესაბამის მიმართულებებს ან იღებს გადაწყვეტილებებს, თუ საკითხი სცილდება კომისიის და საკრებულოს კომპეტენციას, ეგზავნება შესაბამის ორგანოს შემდგომი რეაგირებისთვის.

სულ ჩატარებულია იურიდიული კომისიის მიერ 25 სხდომა.

შემოსულია მოქალაქეთა 12 განცხადება და გამგეობიდან 73 მომართვა.

კერძოდ: 2014 წლის 17 ივლისს საკრებულოს წევრების მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე განხილულ იქნა და საკრებულოს 22 ივლისის სხდომას წარედგინა ცნობის სახით, შექმნილი ფრაქციების შესახებ. მათ შორის

1. ფრაქცია „ ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“
2. ფრაქცია „ დამოუკიდებელი“
3. ფრაქცია „ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმი“
4. ფრაქცია „ ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატები“
5. ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორები“
6. ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელები“
7. ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“

განხილულ იქნა აგრეთვე განცხადებები საკრებულოს კომისიების და მათი თავმჯდომარეების არჩევის შესახებ საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად. მათ შორის:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია (თავმჯ. ალექსანდრე მეზვრიშვილი)
2. საფინანსო– საბიუჯეტო კომისია (თავმჯ.ნიკოლოზ ვაჭრიშვილი)
3. სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია (თავმჯ. მევლუდ დუჩიძე)
4. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია (თავმჯ. გოჩა ჩერქეზიშვილი)
5. სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი კომისია (თავმჯ.ელდარ მეფარიძე)

საკრებულოს 25 ივლისის სხდომისათვის განხილულ იქნა საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის, გამგეობის, გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის, გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის, გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის, გამგეობის განათლების, კულტურის,ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის, გამგეობის იურიდიული სამსახურის, გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებები, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

კომისიამ აგრეთვე განიხილა საკრებულოს აპარატის და გამგეობის საშტატო ნუსხის დადგენილების პროექტები.

სხდომაზე განხილულ იქნა:

– 2014 წლის 14 ივლისს დამტკიცებული საკრებულოს რეგლამენტში განსახორციელებელი ცვლილებების, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ დადგენილებისა და განკარგულებების პროექტები. ფრაქცია „ნაციონალის“ შექმნის შესახებ განცხადების განხილვა ( თავმჯ. ნიკოლოზ ნაცვლიშვილი)

– გამგეობის დამტკიცებულ დებულებასა და საშტატო ნუსხაში ცვლილებების და საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების დადგენილების პროექტები.

– საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ცისმარი თედიაშვილის განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნება–რესპუბლიკელები“–ს შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებზე პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დადგენილებისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ განკარგულების პროექტები.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გამგეობა, საკრებულოს აპარატი) სტაჟირების გავლის წესისა და გამგეობის დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებების შეტანის დადგენილების პროექტები.

– საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტები.

– ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის დებულების, საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ დამტკიცებულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანისა და საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტები.

– გამგეობის დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებების შეტანის, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცებულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის დადგენილების პროექტები.აგრეთვე განხილულ იქნა ფრაქცია „ქართული ოცნება–დამოკრატიული საქართველო“–ს ივანე ბეჟიაშვილის თანამდებობიდან გადადგომისა და საკრებულოს წევრ ივანე ქვრივიშვილის ფრაქციის თავმჯდომარედ არჩევის, ფრაქცია „ქართული ოცნება–თავისუფალი დემოკრატების" თავმჯდომარის დავით არაბულის თანამდებობიდან გადადგომის და ფრაქციის თავმჯდომარედ გოჩა ჩერქეზიშვილის არჩევის შესახებ, ფრაქცია „ქართული ოცნება–თავისუფალი დემოკრატები“–ს თავ-რის საკრებულოს ფრაქციათა კოალიციის დატოვების შესახებ,და სახელწოდების შეცვლის შესახებ და ივანე ბეჟიაშვილის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ განკარგულებების პროექტები.

– გამგეობისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის შესახებ და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნის დამტკიცების შესახებ მიღებულ დადგენილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტები.

– ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, საჯარო მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის შესახებ მიღებულ დადგენილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტები.

– გამგეობის დებულებაში ცვლილების შეტანის, საგარეჯოს საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის და საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესახებ დადგენილების პროექტები.

– დადგენილების პროექტები, ცვლილებები საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა რეესტრის შესახებ, ცვლილება საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ და ცვლილებები საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხისა და სარგოს შესახებ.

– გიორგი კაკუტაშვილის განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების, გამგეობის დებულებისა და დამტკიცებულ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივ სარგოს დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შეს-

*<u>დასასრული მე-7 გვერდზე</u>*

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა მოისმინეს ანგარიში

## არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ

**დასასრული**

ახებ.

– განცხადება ბორის ჩართოლანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ და დადგენილების პროექტი დამტკიცებულ საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

– ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ განკარგულების პროექტი.

კომისიამ სხდომებზე განიხილა აგრეთვე მოსახლეობიდან შემოსული განცხადებები: კერძოდ: 1. რუსთაველის ქ. 238 ში მცხოვრებ მოქალაქეთა კოლექტიური განცხადება საცხოვრებელ კორპუსზე მიშენების აკრძალვის მოთხოვნით, ი/მეწარმე გივი ანუაშვილის ადმინისტრაციული სარჩელი, რომელიც ითხოვს შესრულებული სამუშაოსთვის დარჩენილი თანხის ჩარიცხვას,სოფელ მანავში მცხოვრებ ოთარ ხვთისავრიშვილისა და გიორგი ზულიაშვილის შორის არსებულ სამეზობლო დავის შესახებ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–80 მუხლის საფუძველზე გადაეგზავნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურს.

ყველა საკითხი განიხილა იურიდიულმა კომისიამ და მიიღო კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილება.

**სხდომაზე** საკრებულოს წევრების წინაშე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2014-2015 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში*** წარმოადგინა ამავე ***კომისიის თავმჯდომარემ*** **მევლუდ დუჩიძემ.**

**როგორც მომხსენებელმა აღნიშნა:** საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში გაწევრიანებულია 10 დეპუტატი.

2014 წლის აგვისტოდან - 2015 წლის 1 ივლისამდე კომისიამ ჩაატარა 57 სხდომა.

კომისიის სხდომებზე მოსმენილი და განხილული იქნა მრავალი საკითხი, რომლებზედაც გამოტანილი იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კომისიამ მოისმინა და შეაფასა არაკომერციული იურიდიული პირების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები. განიხილა და საკრებულოს სხომებზე დასამტკიცებლად გაიტანა არაკომერციული იურიდიული პირების სამოქმედო წესდებებში შესატანი ცვლილებები.

კომისიამ სხდომებზე განიხილა 126 მოქალაქის განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ ფინანსურ დახმარებას ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით.

ოთხი განცხადება არ იქნა დაკმაყოფილებული იმ მიზეზით, რომ ორი მათგანი არ იყვნენ რეგისტრირებულნი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ხოლო ორმა მათგანმა ვერ წარმოადგინა სათანადო დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდნენ მათ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას.

122 მოქალაქის განცხადება დაკმაყოფილდა და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გაეგზავნა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილები.

საერთო ჯამში განმცხადებლებს გაეწიათ ფინანსური დახმარება 39 320 ლარის ოდენობით.

საკრებულოში შემოტანილი წერილების საფუძველზე შესწავლილ იქნა პირობები, რომელშიც უხდებათ მუშაობა ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ თანამშრომლებს.

აღნიშნული ა.ი.პ. განთავსებულია,საგარეჯოს მუნიციპალიტეტში,ყოფილ საავადმყოფოს შენობაში, რომელიც ამჟამად კერძო საკუთრებაშია. შენობა მთლიანად ავარიულია და იმ ოთახებში მუშაობა საშიშია ჯანმრთლეობისთვის,რადგან ჭერიდან ჩამოდის წვიმის და თოვლის წყალი, რის გამოც ფუჭდება ძვირადღირებული აპარატურა და პრეპარატები. კომისიის გადაწყვეტილება გადაიგზავნა მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მაგრამ აღნიშნული პრობლემა დღემდე მოსაგვარებელია. საჭიროა, რომ ზამთრის დადგომამდე ყოველმიზეზგარეშე გამოუძებნონ აიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“, შესაფერისი ფართის ოთახები, სადაც შესაძლებელი იქნება ნორმალურ პირობებში მუშაობა.

კომისიის ერთწლიანი მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ საგარეჯოს მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამა, რომლითაც ხელმძღავნელობს მუნიციპალიტეტის გამგეობა, საჭიროებს კორექტირებას.

კერძოდ, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ ამ პროგრამის პირობებში დაემატოს დახმარების გაწევა სარეაბილიტაციო პროცედურებს და ისეთი აპარატურის თუ ნივთების შესაძენად, რომლებიც დაკავშირებული იქნება ჯანმრთელობის აღდგენა - შენარჩუნებასთან.

კომისიის ჩარევის შედეგად უმოკლეს ვადაში იქნა აღმოფხვრილი ყოფილი საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის რეზერვუარში შექმნილი მდგომარეობა. აღნიშნული რეზერვუარში არსებულ წყალს იყენებს როგორც საავადმყოფოს მედპერსონალი, ასევე ირგვლივ მდებარე საცხოვრებელი კორპუსების მოსახლეობა. წლების განმავლობაში იმის გამო,რომ რეზერვუარები არ დამუშავებულა, ამან გამოიწვია წყლის დაბინძურება და ადამიანების მოწამვლა.

კომისიის მიერ შესწავლილ იქნა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ შემოტანილი განცხადება, რომლითაც ითხოვდნენ კომისიაზე გაგვეხილა ისეთი პრობლემატური საკითხი, როგორიცაა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფსიქიატრიის სახელმწიფო პროგრამების ამოქმედება, რაც ხელს შეუწყობს ფსიქიურად დაავადებულ პაციენტებს და მათ პატრონობას. ფინანსურ პრობლემებს სამედიცინო ცნობების აღებისას, რომელბიც საჭიროა იარაღის შეძენისას და მართვის მოწმობის მიიღებისას. გაიოლდება ისეთი სამედიცინო დოკუმენტაციის გაცემა სოციალური მომსახურების სააგენტოში იმ კონტიგენტისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი ან სურთ ამ სტატუსის მოპოვება.

კომისიის ყველა წევრი გასული ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მუშობდა სხდომებზე და არ ყოფილა შემთხვევა, რომ სხდომა გადადებულიყო ქვორუმის არ არსებობის გამო.

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ***საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის ერთი წლის გაწეული მუშაობის ანგარიში*** – წარმოადგინა ამავე ***კომისიის თავმჯდომარემ*** **ელდარ მეფარიძემ.**

**როგორც მან აღნიშნა**: – 2014 წლის ივლისიდან 2015 წლის ივლისამდე კომისიამ ჩაატარა 18 სხდომა. კომისიაში შემოვიდა მოქალაქეთა 62 განცხადება საცხოვრებელი სახლების დამისამართებასთან დაკავშირებით. აქედან 60 განცხადება დაკმაყოფილდა, ორს უარი ეთქვა არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო.

დამისამართებასთან დაკავშირებით კომისიას ექმნება სერიოზული პრობლემები, რადგანაც არ გაგვაჩნია და ვერც მოვიძიეთ ქალაქ საგარეჯოს დამისამართების სრულყოფილი რუქა.

კომისია სისტემატიურად განიხილავს გამგეობიდან შემოსულ წინადადებებს „გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში გამარტივებული შესყიდვების'' თაობაზე.

წინადადებები ძირითადად ეხება სასმელი წყლის მილსადენების დაზიანებას და ჭაბურღილების ტუმბოების შეძენას.

კომისიის წინადადების საფუძველზე შეიქმნა „სოფელ უდაბნოს სასმელი წყლით მომარაგების პრობლების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი“. სამუშაო ჯგუფმა იმუშავა და დადო შესაბამისი დასკვნა.

კომისიამ განიხილა მთავრობის დაფინანსებით მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრქტურული პროექტების ნუსხა. კომისია გამოვიდა წინადადებით, პრიორიტეტად მიჩნეულიყო პროექტები, რომლებიც მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პრობლემებს მოაგვარებდა, რაც სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ იქნა.

იმისთვის, რომ კომისიის შემდგომი მუშაობა იყოს ეფექტური და ნაყოფიერი,კომისიამ ერთი წლის განმავლობაში შეისწავლა მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები, რომლებიც მოიცავს კომისიის სამუშაო სფეროს. დასახულია სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც კომისია გააგრძელებს შემდგომ მუშაობს.

**საკრებულოს სხდომაზე** დეპუტატებს შემდეგი საკითხი ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წელს განხორციელებული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დარჩენილი თანხებით შესასრულებელი ინფრასტრუქტურული პროგრამების მოწონების შესახებ“*** გააცნო ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა*** **გიორგი ქურდოვანიძემ.** მომხსენებლის თქმით: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად **შესაძლებელია** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2014 წელს განხორციელებული „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში დარჩენილი თანხებით შესასრულებელი **შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების** განხორციელება:

**კოჩბანის თემის: სოფელ ოთარაანთკარში** – სასმელი წყლის სათავე-ნაგებობაზე ფილტრების დამონტაჟება და ცენტრალური მილების გასუფთავება (1003,0 ლარი);

**სასადილოში** – სარწყავი არხის გაყვანა მდ. ივრიდან (5358.0);

**იკვლივ გორანაში** – სასმელი წყლის მილის შეძენა (47505.0ლ);

**პატარძეულში** – დოლენჯაშვილების უბანში წყლის გაყვანა (5371.28ლ), ელერდაშვილების უბანში ტუმბოს შეძენა;

**ნინოწმინდაში** – მინი სტადიონზე განათების მოწყობა და ღობის რეაბილიტაცია (5647.96ლ); №19 და №11 ქუჩებისათვის სასმელი წყლის მილების შესყიდვა;

**წყაროსთავში** – შიდა სასოფლო გზის მოხრეშვა (1662.74ლ);

**გიორგიწმინდაში** – „ნავრობის“ ხევის სათავე ნაგებობის შემოღობვა (3675.75ლ); საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, ატრაქციონის მოწყობა;

**მანავში** – სასმელი წყლის ხაზის მოწყობა (5048.0ლ); სასმელი წყლის შლანგის შეძენა;

**დიდ ჩაილურში** – ქვემო უბნის სასმელი წყლით უზრუნველყოფა (8323.35ლ);

**ვერხვიანში** – სასმელი წყლის რეაბილიტაცია (4017.62ლ);

**ბადიაურში** – ორი უბნისთვის სასმელი წყლის მილის შეძენა (1026.12ლ);

**იორმუღანლოში** – შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (7567.88ლ);

**ლამბალოში** – შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია (7848.56ლ);

**თულარში** – მოსაცდელის მოწყობა (9428.82ლ).

საკრებულოს წევრებმა მოისმინეს მოხსენება და მოწონებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი.

**სხდომაზე** საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების სამსახურის განყოფილების გამგის*** **ბექა ფეიქრიშვილის** მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს **სოფელ ნინოწმინდაში ე.წ. „აჭარელების უბანში“ სასმელი წყლის ჭაბურღილის ტუმბოს შეძენა-მონტაჟის, ქ. საგარეჯოში რუსთაველის, ბაუჯა ქვლივიძისა და ერისთავის ქუჩებზე მცხოვრებლებისათვის სასმელი წყლის 300 გრძივი მეტრი 50 მმ-იანი მილის, სოფ. ყანდაურაში, ე.წ. დოდაანთ უბნისათვის“ სასმელი წყლის 450 გრძივი მეტრი 40 მმ-იანი მილის, სოფელ ბადიაურში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე ორი ცალი 63 მმ-იანი გადასაბმელის შეძენას, საგარეჯოში რუსთაველისა და კახეთის ქუჩებზე არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილების ამორეცხვის, სოფელ გიორგიწმინაში არსებული სასმელი წყლის 150 მ გრძივი მილის 40 მმ-იანი მილების შეძენის, სოფ. ნინოწმინდაში არსებული დაზიანებული სასმელი წყლის ჭაბურღილის მილების, ელ. კაბელების და ბაგირის შეძენა-მონტაჟის, ქ. საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი №9,11,13,15 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული დაზიანებული სასმელი წყლის ჭაბურღილის ამორეცხვითი სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებას, რაზედაც საკრებულომ მიიღო შესაბამისი დადგენილებები.**

**სხდომაზე** ასევე მოისმინეს ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კომისიის თავმჯდომარის*** **ელდარ მეფარიძის** ***მოხსენება*** საგარეჯოში მცხოვრებ მოქალაქეთა კუთვნილი კომერციული ფართისა და საცხოვრებელი ბინის ნუმერაციის მინიჭების შესახებ.

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილ საკითხზე **„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში 1000.00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №55. 22.51. 347) დროებითი სარგებლობის უფლებით უსასყიდლო აღნაგობის ფორმით 2 წლის ვადით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის გადაცემის შესახებ“** მოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა*** **გიორგი ქურდოვანიძემ.**

სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს წარმოდგენილი ანგარიშებისა და საკითხების ირგვლივ და მომხსენებელთა მიერ წარმოდგენილ ერთი წლის მუშაობის ანგარიშებს სათანადო შეფასება მისცეს.

სპორტი

## საგარეჯოელ სპორტსმენებს ქალი „ოლიმპიელი“ შეემატა

# ნატალია ყიფშიძის ოლიმპიური ბრინჯაო



**როგორც** ცნობილია, ივლისში თბილისში ჩატარებულ ბავშვთა მე-15 ოლიმპიურ ფესტივალზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ძიუდოში გოგონათა მწვრთნელის ლუდა ფერაძის პერსპექტიულმა აღსაზრდელმა ნატალია ყიფშიძემ, რომლის მიერ ჩვენი ქვეყნისა თუ საერთაშორისო ტატამებზე მიღწეული წარმატებების შესახებ არაერთხელ გვსმენია.

***– თქვენ ფასდაუდებელი წვლილი მიგიძღვით საგარეჯოში ქალთა ძიუდოს დანერგვის საქმეში, რომლებიც წვრთნების სულ მცირე პერიოდში თავიანთ დამაჯერებელ სიტყვას ამბობენ ჩვენი გარეჯული სპორტის ისტორიაში. როგორ, სად და როდის აღმოაჩინეთ ქალთა ძიუდოს ეს პატარა ვარსკვლავი? – კითხვით მივმართე ქ-ნ ლუდას.***

– საგარეჯოში გოგონათა ძიუდოს გუნდის ჩამოყალიბებამდე ადრე და ახლაც ვმუშაობ თბილისის ძიუდოს აკადემიის მწვრთნელად. ეს მოხდა ამ 9 წლის წინ, როცა ნატალიას მამის მეგობარმა ნატალია და მისი და ოლია ჩემთან წრეზე მოიყვანეს სავარჯიშოდ. ნატალია თავიდანვე საინტერესო, ინიციატივიანი გოგონა იყო, მისი და კი რამდენიმე ხნის ვარჯიშის შემდეგ წრიდან წავიდა. ნატალიაზე ვარჯიშებისა და წვრთნებზე დაკვირვებისას ის მუხტი და ფხა აღმოვაჩინე, რაც ნამდვილ, მებრძოლ ფალავნებს ახასიათებთ. ამასობაში მუშაობა საგარეჯოში დავიწყე და გადავწყვიტე ნატალია აქ გადმომეყვანა სავარჯიშოდ, რადგან აქ უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევდი. ამასთან, მისი წარმატებული მიღწევები დიდად შეუწყობდა ხელს ახლად ჩამოყალიბებული საგარეჯოელი ძიუდოისტების წრის მუშაობას, ანუ იგი გახდებოდა მათი ერთგვარი სტიმულატორი.

როცა ეს ჩემი ჩანაფიქრი აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორს გავაცანი, იგი დიდი სიხარულით დამეთანხმა და უსასყიდლოდ საკუთარი ბინაც კი

დასასრული მე-9 გვერდზე

# მკათათვის ბარაქა ივრისპირეთში

## მოსავალი-2015



**ივრისპირეთში** დამთავრდა 2015 წლის ალოობა. როგორც ცნობილია, გასული წლის ზამთარსა და ამ გაზაფხულზე მოსულმა უხვმა ნალექებმა საუკეთესო პირობები შეუქმნა გარეკახელ მიწათმოქმედთა საშემოდგომო ნათესების ზრდა-განვითარებას, რის გამოც, სხვა წლებთან შედარებით, წელს მეტი გამოსავალი და ბარაქა აქვს მათ ნაშრომს. კერძოდ, იმის შესახებ, თუ როგორი მოსავალი მიიღეს ჩვენმა მიწათმოქმედებმა, გვესაუბრება ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი*** **გივი მათიაშვილი**.

***– ბ-ნო გივი, მართალია ჩვენი გაზეთის მკითხველს ხშირად ვაწვდით ინფორმაციას მუნიციციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროექტებზე, თავთავიანი თუ სხვა კულტურების გავრცელებისა და განაშენიანების შესახებ, ვფიქრობთ, არც ახლა იქნება ინტერესმოკლებული ეს საკითხი. ჩვენი საუბარი იმით დავიწყოთ, თუ რა ფართობზე ჰქონდათ წელს დათესილი ჩვენს მიწათმოქმედებს საშემოდგომო თავთავიანები...***

– სულ მთლიანობაში 2015 წლის მოსავლისათვის ჩვენი მუნიციპალიტეტის მხვნელ-მთესველებს საშემოდგომო თავთავიანი კულტურები დათესილი ჰქონდათ 3898 ჰექტარზე. აქედან, უმეტეს ფართობზე – 3371 ჰექტარზე – ხორბალი და 527 ჰა-ზე ქერი. აქვე, რაკი მარცვლეულ კულტურებზე ვსაუბრობთ, მინდა დავამატო ისიც, რომ წელს მუნიციპალიტეტში, ასევე, დათესილი იყო საგაზაფხულო მარცვლეული კულტურებიც, კერძოდ ქერი – 10 და შვრია – 40 ჰა-ზე.

***– გასულ წელს ეს მონაცემები როგორ გამოიყურებოდა? როგორც საქმეში ჩახედული პირები აცხადებენ, იმის გამო, რომ გასულ წელს მარცვლეულის მინიმალური მოსავლიანობა იყო და ზოგიერთმა ფერმერმა საერთოდ ვერ მოიწია მოსავალი, ბევრმა მათგანმა თავი შეიკავა მათ დათესვაზე, რის გამოც წლევანდელი ნათესი ფართობები თითქმის განახევრდა...***

– გასულ წელს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესების მთლიანი ფართი მუნიციპალიტეტში იყო 7897 ჰა, აქედან ხორბლის ნათესები – 5685 ჰა, ქერის – 2055 ჰა, სხვა დანარჩენების – 157 ჰა. გვქონდა კიდევ საგაზაფხულო მარცვლეულის ნათესები – 10 ჰა შვრია, საიდანაც მაშინდელი კლიმატური პირობების გამო მოსავალი საერთოდ არ ყოფილა მიღებული..

***– რა შედეგებია მუნიციპალიტეტში ქერის მოსავლიანობაში, მთლიანობაში რამდენია მიღებული, როგორია საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა და როგორი იყო შარშანდელი შესაბამისი მაჩვენებლები?***

– მუნიციპალიტეტში ქერის საერთო მოსავლიანობამ 2202 ტონა შეადგინა, ანუ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 4.1 ტონაა ჰა-ზე. შედარებისათვის, გასულ წელს აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა 1910 ტონას და 0.44 ტონას.

***– რა შედეგებით დამთავრდა ხორბლის მკა?***

– ეს პროცესი შეიძლება პირობითად ორ ეტაპად დაიყოს. აქედან I ეტაპზე – 15 ივლისის მდგომარეობით მთელ მუნიციპალიტეტში ხორბალი აღებული იყო მთლიანი ნათესების თითქმის 50 %-ზე, ანუ დაახლოებით 1700 ჰა-ზე და მარცვლის საშუალო გამოსავლიანობა ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით შეადგენდა 3.5 ტონას.

რაც შეეხება საბოლოო შედეგებს, მუნიციპალიტეტში მთლიანად მიღებულია 11730 ტონა ხორბალი, ანუ საშუალოდ ერთ ჰექტარზე მისმა გამოსავლიანობამ იგივე 3.5 ტონა შეადგინა.

აქვე თუ მკითხველს დააინტერესებს, შემიძლია მოგაწოდოთ მონაცემები მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების შესახებ.

ქ. საგარეჯოს სავარგულებში წელს დათესილი იყო 552 ჰა ხორბალი, საიდანაც აქაურმა მიწათმოქმედებმა მიიღეს 1822 ტონა მარცვალი, ანუ საშუალოდ ყოველ ერთ ჰა-ზე 3.3 ტ. 55 ჰა ქერის ნათესებიდან კი მიღებულია 211 ტონა, ანუ საშუალოდ ჰა-ზე 3.8 ტონა.

– ხაშმზე 24 ჰექტარი ხორბლის ნათესებიდან მიღებულია 76 ტონა მარცვალი, საშუალოდ ჰექტარზე 3.2 ტონა. ქერი 10 ჰექტრიდან მიღებულია 37 ტონა, ანუ საშუალოდ ჰექტარზე 3.7 ტონა.

– პატარძეულში 360 ჰა ყანიდან მიღებულია 1080 ტ. ხორბალი, საშუალოდ ჰა-ზე 3 ტონა, ქერი 70 ჰექტარიდან 252 ტონა, საშუალოდ ჰექტარზე 3.6 ტონა.

– წყაროსთავში 38 ჰა ნათესიდან მიღებულია 132 ტ ხორბალი, ანუ ყოველ ჰექტარზე 3.5 ტონა. ორი ჰექტარი ქერის ნათესებიდან მიღებულია 9 ტონა (4.5 ტონა).

– ნინოწმინდაში 50 ჰექტარი ხორბლის ნათესებიდან მიღებულია 175 ტ მარცვალი, საშუალოდ 1 ჰა-ზე 3.5 ტონა. ქერი 20 ჰექტრიდან 76 ტონა, ანუ 3.8 ტონა ყოველ ჰა-ზე.

– გიორგიწმინდაში 260 ჰა ყანიდან გამოლეწილია 1020 ტონა მარცვალი, ანუ საშუალოდ ჰა-ზე 3.9 ტონა, ქერი – 40 ჰა-დან 188 ტონა, საშუალოდ ჰა-ზე 4.7 ტონა.

– თოხლიაურში 22 ჰა-ზე მიღებულია 70 ტონა ხორბალი, საშუალოდ ჰა-ზე 3.2 ტონა, ქერი 8 ჰა-დან 40 ტონა, ანუ საჰექტარო მოსავლიანობამ აქ 5 ტონა შეადგინა.

– მანავში 55 ჰა ნათესებიდან მიღებულია 190 ტონა ხორბალი, ანუ ყოველ ჰა-ზე 3.5 ტონა. ქერი 15 ჰა-დან 68 ტ. (4.5ტ).

– დიდ ჩაილურში 20 ჰა-ზე მიღებულია 80 ტონა ხორბალი (4,0ტ) და 5 ჰა ნათესიდან 25 ტონა ქერი (5ტ).

– პატარა ჩაილურში 10 ჰა-დან მიღებულია 40 ტონა ხორბალი (4.0ტ) და 2 ჰა ფართობიდან 10 ტონა ქერი.

– კაკაბეთში – 270 ჰა ფართობზე გამოლეწილია 970 ტ. ხორბალი (3.6 ტ) და 20 ჰა ქერის ყანიდან 96 ტონა მარცვალი (4.8ტ).

– ვერხვიანში მთლიანობაში მიღებულია 85 ტ. ხორბალი (3.4 ტ.) და 69 ტ. ქერი (4.6ტ).

– ყანდაურაში 330 ტონა ხორბალი (3.3 ტონა) და 132 ტ ქერი (4.4ტ).

– ბადიაურში 363 ტ. ხორბალი (3.3 ტ) და 178 ტონა ქერი (5.1ტ).

– ლამბალოში – 50ტ ქერი (5.0ტ).

– დუზაგრამაში 1500 ტ ხორბალი (3.8ტ) და 158 ტ ქერი (4.5ტ).

– იორმუღანლოში 3145 ტონა ხორბალი (3.6ტ), ქერი 75 ტ (5.0ტ).

– თულარში 50 ჰა-ზე მიღებულია 113 ტონა ქერი (4.5ტ)

– მზისგულში მთლიანობაში გამოლეწილია 130 ტ. ხორბალი (3.5ტ), ქერი – 115 ტ (5.0ტ).

– შიბლიანში მიღებულია 122 ტ ხორბალი (3.2ტ) და 60ტ ქერი (5ტ).

– სათაფლეში მიღებული აქვთ 400 ტ ხორბალი (3.2ტ) და 240 ტ. ქერი (3.7ტ).

***– როგორც ამბობენ, წელს მუნიციპალიტეტში ბევრმა ფერმერმა მარცვლეულის რეკორდული მოსავალი მიიღო. თუ გყავთ ისინი აღრიცხული და როგორია მათ მიერ მიღწეული შედეგი?***

– წელს მუნიციპალიტეტში ასეთი ბევრი ფერმერია, რომელთაც მართლაც მაღალ შედეგებს მიაღწიეს. მაგალითად, ქერში ფერმერ გია მარხვაშვილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 6 ტონა, ზაზა და დათო სირაძეებთან – 5-5 ტონა. მაღალი მოსავლიანობით გამოირჩეოდა შიბლიანი-მზისგულის ფერმერთა ნაწილის ნათესები, სადაც საშუალოდ ჰექტარზე გამოლეწეს 6-7 ტონა მარცვალი. საერთოდ, როგორც მონაცემებიც მოწმობს, წელს ჩვენს ფერმერებს ქერის მაღალი მოსავალი აქვთ. რაც შეეხება ხორბლის მოსავლიანობას - ზვიად ტიგინაშვილმა ჰექტარზე აწარმოა 5 ტონა მარცვალი, გია ბუჩაშვილმა – 4.5 ტონა. და ა.შ.

***– თქვენს სამსახურს თუ მიუწვდება ხელი ირანელი ბიზნესმენის შესაბამის შედეგებზე? ამბობენ, რომ წელს მასაც თავთავიანების კარგი მოსავალი აქვს...***

– ირანელი ბიზნესმენი რაშიდ მანიში ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველაზე მსხვილი ფერმერია. იგი აქ 7 ათას ჰექტარზე მეტ მიწის ფართობს ფლობს. წელს მას აღნიშნული ფართობიდან საშემოდგომო კულტურებით დაკავებული ჰქონდა 1480 ჰა ფართობი. აქედან, ქერი – 20 და ხორბალი – 1460 ჰა-ზე. მასთან ქერის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 7.0 ტონა, ხოლო ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობა 5.0 ტონას შეადგენს.

***– ერთი სიტყვით, საშემოდგომო თავთავიანების წლევენდელი შედეგებით დასტურდება, რომ თუ კლიმატური და სხვა პირობებით მათ სათანადო ხელშეწყობა ექნებათ, ჩვენს პირობებშიც შეიძლება მაღალმოსავლიანობაზე საუბარი. პლიუს ამას, საჭიროა ჩვენს პირობებს შეგუებული და მისადაგებული თესლი. ძირითადში თავთავიანების რა ჯიშები იყო დათესილი წლევანდელი მოსავლისათვის მუნიციპალიტეტში?***

– მუნიციპალიტეტში წელს ხორბლის ნათესი ფართობები ძირითადად დაკავებული იყო შემდეგი ჯიშებით: ხორბალი „ტანი“, „გრომი“, „უფხო-1“, „ლომთაგორას“ სხვადასხვა სახეობები, „ჯაგერი“, „პაბედა“. ქერი ძირითადში „პალიდიუმი“, ასევე გვხვდებოდა ფრანგული, იტალიური და თურქული წარმოების და სხვა ჯიშები.

***– როგორი ფასებია აგრარულ ბაზარზე სადღეისოდ მარცვლეულზე და რა მოგებას ნახავენ წელს მის წარმოებაზე დასაქმებული ფერმერები?***

– დღეის მდგომარეობით ე.წ. იორმუღანლოს ბაზარზე არსებული მონაცემებით 1 კგ ხორბლის ფასი შეადგენს 43-45 თეთრს, 1 კგ ქერზე 40-42 თეთრს. თუ ვიანგარიშებთ იმას, რომ ფერმერს საშუალოდ 1 ჰა ფართობზე დახარჯული აქვს 1000 ლარამდე და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა არის 4 ტონა, 40 თეთრზე გადაანგარიშებით ეს თანხა შეადგენს 1600 ლარს, ანუ ფერმერმა მოგების სახით 1 ჰა-დან უნდა მიიღოს 600-700 ლარი. ეს სადღეისოდ, შემდეგში კი, თუ მარცვლეულზე ფასი აიწევს, რა თქმა უნდა, შესაბამისად მოგების ეს მაჩვენებელიც გაიზრდება.

***– თქვენ საუბარში მუნიციპალიტეტში წელს გავრცელებული მარცვლეული კულტურების ჯიშებზე ისაუბრეთ. მათგან რომელს უფრო გაუწევდით რეკომენდაციას სამომავლოდ დასათესად?***

– ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის მისაღებია ყველა ზემოთჩამოთვლილი ჯიში და ის სხვა ჯიშებიც, რომლებიც შეესაბამება ჩვენს კლიმატურ პირობებს. მთავარია, სათესლე მასალა თუ ელიტური არ იქნება, 1, 2 ან მესამე რეპროდუქციის მაინც იყოს.

***– მოსახლეობის ნაწილს უამინდობის გამო გამოუყენებელი დარჩა საქართველოს მთავრობის მიერ ფერმერებისათვის მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში ხელშეწყობის ხვნის ბარათები. როდიდან ექნებათ მათ ამ ბარათების გამოყენების საშუალება?***

– მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთაც დღემდე აქვთ დარჩენილი ე.წ. ხვნის ბარათები, შევახსენებ, რომ მათი გამოყენების ვადა იწურება 2015 წლის 1 დეკემბერს. ასე, რომ ფერმერებს შეუძლიათ მათი ამ პერიოდის ნებისმიერ დროს გამოყენება.

*ესაუბრა გ. დაბახიშვილი*

# სპორტი

## საგარეჯოელ სპორტსმენებს ქალი „ოლიმპიელი“ შეემატა

# ნატალია ყიფშიძის ოლიმპიური ბრინჯაო

**დასასრული**

საცხოვრებლად ნატალიასა და კიდევ 2 გოგონას დაუთმო, რომელთაც სურვილი გამოთქვეს საგარეჯოს გუნდში ევარჯიშათ. ამის წყალობით მათ იდეალური პირობები შეექმნათ სავარჯიშოდ და სასწავლებლად, რადგან სწავლაც საგარეჯოში გააგრძელეს. როგორც მომავალმა გვიჩვენა, ჩემმა ჩანაფიქრმა გაამართლა. გამიმართლეს ამ გოგონებმა, რაც მწვრთნელისათვის დიდი ჯილდოა.

***— უშუალოდ ოლიმპიადაზე საუბარზე გადასვლამდე გავიხსენოთ ყველა ის დიდი წარმატება, რაც ნატალიას „გაოლიმპიელებას“ წინ უძღოდა.***

— პირველი დიდი წარმატება ნატალიამ 2014 წელს იზეიმა, როცა ის 15 წლის ასაკში გახდა საქართველოს ჩემპიონი. იმავე წლის ოქტომბერში სომხეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, სადაც თავისზე 2 წლით უფროს ასაკში უწევდა ასპარეზობა და თავისი გამოსვლებით ყველას ყურადღება მიიქცია. ამას გარდა, არის საქართველოს გოგონათა ნაკრების ფავორიტი, კიევისა და ევროპის თასების ჩემპიონი, საბერძნეთის ევროპის პირველობის პრიზიორი, ყაზახეთი-აზიის პირველობის პრიზიორი და ა.შ. იგი საქართველოს ნაკრების პირველი ნომერია.

***— თბილისის ბავშვთა 2015 წლის ზაფხულის ოლიმპიადის დაწყების წინ ტრაპიზონში გამართულ ორკვირიან შეკრებაზე ნატალიამ წელი დაიზიანა. რას იტყვით, ამან ხომ არ იქონია გავლენა იმაზე, რომ მან ვერ შეძლო ოლიმპიადაზე უფრო მაღალი შედეგის ჩვენება?***

— თურქეთში გამართულ შეკრებაზე ნატალიამ მართლაც დაიზიანა წელი, ამას გარდა იგი არასწორად „იჭერდა წონას“ ბულგარეთის ტურნირისათვის, სადაც 44 კგ წონით კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას და ვერ შეძლო შედეგის ჩვენება, რამაც გარკვეული უარყოფითი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა ოლიმპადაში მის გამოსვლაზე. მას ერთგვარი „ბზარი“ გაუჩნდა თავის შესაძლებლობებზე, თუმცა, ნამდვილად ხელეწიფებოდა უფრო მაღალი შედეგების მიღწევა.

***— ოლიმპიადაზე ნატალიასა და ქართველი გოგონების მიღწევებით ქართული პრესა იყო „აჭრელებული“, მაგრამ სულ სხვაა მასწავლებლის თვალით დანახული აღსაზრდელი. თუ შეიძლება ფესტივალში მისი გამოსვლის შესახებ...***

— ნატალიას, რომელსაც ოლიმპიადაზე 48 კგ წონით კატეგორიაში მოუხდა ასპარეზობა, პირველი შეხვედრა თურქ ბედერ ტუქცესთან არ გამოუვიდა. ფაქტიურად ნაკრების ხელმძღვანელობამ ფესტივალზე იგი რისკის ქვეშ დააყენა, რადგან აქამდე იგი ყველგან 44 კგ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა. აღნაგობით იგი პატარა და თხელი გოგონაა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ იგი 48 კგ-ში იჭიდავებდა, მაგრამ ენდნენ და აჭიდავეს. ამ ერთადერთ წარუმატებლობაში გარკვეული როლი მსაჯის არაობიექტურობამაც იქონია, რადგან არასწორი გაფრთხილების გარეშე შეიძლება იგი ნატალიას სხვა შედეგით დაემთავრებინა.

ნატალიას შემდეგ რუს დარია ხარლაპანოვასთან მოუწია შეხვედრა, რომელიც ნატალიას სასარგებლოდ დასრულდა. ჩეხი დენისა დესანოვა კი „მახრჩობელათი“ ტატამზე „დააძინა“. მესამე საპრიზო ადგილისათვის ბრძოლა მას გამოცდილ ბრიტანელ ბატემან კიერთან მოუხდა, რომელმაც მასთან შეხვედრამდე შეძლო მსაჯებისა და მაყურებელთა მოწონების დამსახურება, თუმცა, როგორც მასზე ამბობდნენ — „პეპელასავით მოფრიალე გოგო, რომელიც გუნდასავით ისროდა თავის მოწინააღმდეგეებს ტატამზე“, ჩვენმა ნატალიამ გააჩერა და ბრინჯაოს მედალი არ დაანება.

***— ახლანდელი გადმოსახედიდან თქვენი მუშაობა მხოლოდ ფრიადზე თუ შეფასდება, რისთვისაც მადლობას იმსახურებთ არა მარტო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, არამედ საერთოდ ქართული სპორტის მესვეურების, გულშემატკივრების, ყველა ქართველის სახელით, ქართული ძიუ-დოს სპორტსმენმა გოგონებმა ერთ-ერთმა პირველებმა შეძლეს აეჟღერებინათ საქართველოს ჰიმნი და დროშა აეფრიალებინათ.***

— რა თქმა უნდა, უდავოდ გამახარა ჩვენი, ქართველი ძიუ-დოისტი გოგონების ოქროს მედლებმა და ტატას, ჩემი აღსაზრდელის ამ დიდმა წარმატებამ და მიღწევამ ასეთი დონის და პრესტიჟულ ასპარეზობაში. დიდად მოხარული ვარ იმის გამოც, რომ როგორც მწვრთნელს გამიმართლა, როცა საგარეჯოში ტატა ყიფშიძე და სხვა გოგონებიც წამოვიყვანე. აქაურ გოგონებში ძიუდოს განვითარების დიდი პოტენციაა. ვარჯიშის დაწყებიდან (2014 წლის თებერვალი), სულ რაღაც ერთ წელიწადში საქართველოს 4 ფინალის ჭიდაობა და აქედან 3 ოქროს მოპოვება თავისთავადაც მიუთითებს საგარეჯოელი გოგონების შესაძლებლ;ობებზე. კიდევ 1 ან 2 წელი და მერწმუნეთ, კიდევ უფრო მეტ პერსპექტიულ მოჭიდავეს მიიღებს ქართული სპორტი. ამისათვის კიდევ ერთხელ ***მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს* გიორგი გზირიშვილს, *საკრებულოს თავმჯდომარეს* ფრიდონ ბურდულს**, გამგეობის ***ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარ სპეციალისტს* ლაშა იაკობიძეს** იმ დახმარებისა და გვერდში დგომისათვის, რასაც ისინი ჩვენს მიმართ იჩენენ. უღრმესი მადლობა თავად გარეჯული სპორტის თავკაცს **გია მაისურაძეს** დღედაღამ გოგონებზე ზრუნვისა და მხარში დგომისათვის.

## ჭადრაკი

# IV ადგილი „ბათუმი-2015“ ფესტივალიდან



**საგარეჯოს** აიპ „სპორტგაერთიანების“ ჭადრაკის მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის ნიჭიერი აღსაზრდელის ზუკა გამრეკელაშვილის მიერ საჭადრაკო „დუელებში“ მოპოვებულ მიღწევებზე ჩვენს გაზეთს არაერთხელ მიუწოდებია ინფორმაცია ჭადრაკის გარეჯელი გულშემატკივრებისათვის. 8 წლის ზუკამ მორიგ წარმატებას მიაღწია გასული თვის ბოლოს ბათუმში გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში „ბათუმი-2015“, რომელშიც საქართველოს, სომხეთის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პატარა მოჭადრაკე პირველად იღებდა მონაწილეობას ასეთი დიდი დონის ასპარეზობაში რვაწლიანებში სხვა 4 მოჭადრაკესთან ერთად შეძლო 9 შესაძლებლობიდან ხუთი ქულის დაგროვება, თუმცა, კოეფიციენტით ჩამორჩა ყაზახეთისა და სომხეთის წარმომადგენლებს და საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. მთავარი კი მისთვის ალბათ ისაა, რომ ამ დონის ასპარეზობებში მონაწილეობით გარკვეული გამოცდილება მიიღო, რაც დიდად წაადგება სამომავლოდ გამართულ საჭადრაკო პაექრობებში.

# ტატამზე ერთი წელი, წარმატებები უამრავი



**თბილისის** XV ოლიმპიურ ფესტივალზე თავისი „ბრინჯაოთი“ ნატალია ყიფშიძემ მართლაც რომ დააგვირგვინა მწვრთნელის ამაგი!

— „საგარეჯოელ გოგონებში ისეთი პოტენციალია, რომ უახლოეს ხანებში — ერთ-ორ წელიწადში, ნატალიას გარდა, ბევრი მათგანი იტყვის თავის ღირსეულ სიტყვას ქართული ძიუდოს ისტორიაშიო, — ***მითხრა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელმა* ლუდა ფერაძემ** ამასწინათ ნატალია ყიფშიძის „გაოლიმპიელების“ თაობაზე ინტერვიუს ჩაწერისას. როგორც ჩანს, ჩვენი ძიუდოისტი გოგონები თავიანთი მწვრთნელის ამ იმედებს ამართლებენ და მომავალშიც კვლავაც გაამართლებენ. ამ დღეებში ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში გოგონათა შორის ორ ასაკობრივ ჯგუფში 1998-99 და 2001-2002 წლიანებში, რომელშიც, ქართველებთან ერთად თურქი და აზერბაიჯანელი გოგონები იღებდნენ მონაწილეობას. სხვებთან ერთად ტურნირში ლუდა ფერაძეც წარსდგა თავისი გოგონებით და არ იკითხავთ, რა შედეგებით დაასრულეს ტურნირი? — ***ოთხი ოქრო, ორი ვერცხლი და ათი ბრინჯაო*** — ასეთია მათი მონაპოვარი ამ შეჯიბრებიდან.

როგორც მოსალოდნელი იყო, 1998-99 წლიანებში თავის წონაში, პირველობა არავის დაუთმო და თავის უამრავ ჯილდოს კიდევ ერთი ოქროს მედალი შემატა ნატალია ყიფშიძემ. მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ნელი გულისაშვილმა. აღსანიშნავია ამ ასაკში ორი წლით უმცროსი სალომე ბლიაძის გამოსვლა, რომელმაც შემთხვევის გამო დაკარგა ოქროს მედალი და მხოლოდ ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ, მეორე დღეს თავის ასაკში გამოსვლისას „იყარა ჯავრი“ მეტოქეებზე სალომემ — ოთხი შეხვედრიდან ყველა წმინდა მოგებით დაასრულა და ოქროს მედალი მოიპოვა. ამავე, 2001-2002 წლიანთა ჯგუფში ჩემპიონები გახდნენ სალომე არაბული, მარიამ ლაფაჩიშვილი და თინანო რევაზიშვილი. მეორე პრიზიორები გახდნენ ლალი ხოსიტაშვილი და ანა ასანიშვილი.

ამ ასაკში მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მარიამ ხოსიტაშვილი, მზია კევლიშვილი, სალომე გულისაშვილი, მარიამ კოხტაშვილი, ლილე ხარანაული, ხატია მინდიაშვილი, ანა ბერიძე, ვარდიკო ბუჩაშვილი.

# აზერბაიჯანული სოფლების ნორჩი ფეხბურთელები ქობულეთში

**აიპ** „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ***მწვრთნელი* მალხაზ ნიჟარაძე** უკვე მესამე წელია, რაც მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული სოფლების პატარებს ფეხბურთში ავარჯიშებს. ვარჯიშების დაწყებიდან ერთი წლის თავზე ამ ფეხბურთელებისგან ჩამოყალიბდა გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს კახეთის რეგიონულ პირველობაში — „ფესტივალი ფეხბურთში“. გათამაშებაში კახეთის ყველა მუნიციპალიტეტის გუნდები მონაწილეობენ. აზერბაიჯანულენოვანი სკოლების ბავშვებთან ერთად გუნდში გაერთიანებული არიან ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთა წარმატებებს თავის დროზე ჩვენმა გაზეთმაც დაუთმო ყურადღება. ეს უპირველეს ყოვლისა მალხაზ მასწავლებლის დამსახურებაა, რომელიც ცდილობს ამ მხრივაც ხელი შეუწყოს და აამაღლოს გუნდის მოთამაშეთა მოტივაცია.



მალხაზ ნიჟარაძე ამ დღეებში კვლავ გვეწვია რედაქციაში თავისი გუნდის შესახებ სასაუბროდ:

*— ჩვენი გუნდი „გარეჯი“ თავიდან დაკომპლექტებული იყო აზერბაიჯანელი 2001-2002 და 2003-2004 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით. კახეთის ჩემპიონატში კი ძირითადად უფროსი ასაკის 2001-2002 წლიანი ბავშვები იღებენ მონაწილეობას, — აღნიშნა მან. ჩემპიონატის გათამაშებაში პირველად 2013 წელს ჩავერთეთ და 9 გუნდში VII ადგილი დავიკავეთ. სამაგიეროდ წარმატებული გამოდგა 2014 წლის სეზონი, როცა დავიმატეთ ბადიაურის და თოხლიაურის საჯარო სკოლების ბავშვები, რის შედეგადაც გათამაშების კალენდარში IV ადგილი დავიკავეთ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ბავშვებს თამაში უწევდათ კახეთის საფეხბურთო სკოლების ბავშვებთან, როგორებიც არის ახმეტის „ბახტრიონი“, გურჯაანის „ალაზანი“, ლაგოდეხის „ჰერეთი“, სადაც ვარჯიშის და მეცადინეობის მეტი პირობები აქვთ. წლევანდელმა წარმატებამ მეტი სტიმული და მოტივაცია მოგვცა, რათა უფრო უკეთ გამოვიდეთ მომავალ საფეხბურთო სეზონში, რომელიც სექტემბრის თვიდან დაიწყება. ამ მიზნის მისაღწევად გუნდი აქედანვე შეუდგა მომზადებას. კერძოდ, 2 ივლისიდან აჭარაში, ქ. ქობულეთში გუნდმა 19 კაციანი შემადგენლობით გაიარა 10 დღიანი შეკრება. აქ ვარჯიშებისა და გართობა-დასვენებასთან ერთად გავმართეთ 5 ამხანაგური შეხვედრა ქუთაისის, ქობულეთის, გურჯაანის, სიღნაღის და გორის გუნდებთან. აქედან ქუთაისის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გუნდ „ტორპედოსთან“ დავმარცხდით 0:1, ქობულეთის „შუქურასთან“ ვითამაშეთ ფრე 0:0, სიღნაღის გუნდს მოვუგეთ 4:2, გურჯაანის „ალაზანს“ 4:1. ამ შეკრების ძირითადი მიზანი იყო აზერბაიჯანელი ბავშვები ჩართულიყვნენ შეკრების გეგმაში და ქართველ თანაგუნდელებთან ერთად ევარჯიშათ. ისინი ასეთ შეკრებაზე პირველად იყვნენ. ზღვაც პირველად ნახეს და ამხანაგურ მატჩებში პირველად გაიტანეს გოლები.*

*ვცხოვრობდით სასტუმრო „ნიკა“-ში. ქართველი ბავშვებისათვის ეს სასტუმრო ნაცნობი იყო, რადგან წლებია იქ ვცხოვრობთ. 1 დღე დავუთმეთ კულტურულ ღონისძიებას. გუნდის მთელი შემადგენლობა სასეირნოდ წავედით ბათუმში, სადაც ბავშვებმა ძალიან გაიხარეს, დაათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნაობები, ისეირნეს სხვადასხვა გასართობი კარუსელებით და გაერთნენ, ისეირნეს გემით შავ ზღვაზე, გადაიღეს უამრავი ფოტოსურათი.*

*ამ ლამაზმა ათმა დღემ უეცრად გაირბინა და დავბრუნდით კახეთში. რაც შეეხება გუნდის სამომავლო ამოცანებს, 25 აგვისტოდან კვლავ განვაახლეთ ვარჯიშები, რათა კარგად მომზადებულნი შევხვდეთ კახეთის ჩემპიონატის დაწყებას. ჩვენი ამოცანაა ჩემს მიერ გაწვრთნილი ბავშვები მოხვდნენ ჯერ მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდ „გარეჯში“, ხოლო შემდგომ მაღალ და წარმატებულ საფეხბურთო კლუბებში.*

**გვერდი მოამზადა**
*გივი დაბახიშვილმა*

## „რაც დავიწყებით არ იბინდება“

# გმირებს პატივი მიაგეს

– **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგებლმა გიორგი გზირიშვილმა, გამგებლის მოადგილემ დავით ივანიშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების რევაზ მამისაშვილის საფლავი სოფ. მარიამჯვარში და გიორგი კირაკოზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი სოფ. ჩაილურში 8 აგვისტოს ყვავილებით შეამკეს. „ჩვენ ქედს ვიხრით სამშობლოსათვის თავდადებული გმირების წინაშე და ვეცდებით ყველანაირად მხარში ამოვუდგეთ დაღუპული ვაჟკაცების ოჯახებს.“ – განაცხადა გიორგი გზირიშვილმა და გმირთა ოჯახის წევრებს ტრადიციულად ფულადი დახმარება გადასცა. გიორგი კირაკოზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალთან სოფ. ჩაილურის სკოლის მოსწავლეებმა ომში დაღუპული გმირების საპატივსაცემოდ ლექსები წაიკითხეს.

შეგახსენებთ, რომ ლეიტენანტი, ოცეულის მეთაური რევაზ მამისაშვილი 8 აგვისტოს, საბრძოლო მოქმედების დროს დაიღუპა, ხოლო კაპიტანი, მეოთხე ბრიგადის საარტილერიო შტაბის უფროსი გიორგი კირაკოზაშვილი 9 აგვისტოს ცხინვალში საბრძოლო მოქმედების დროს სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა.





## მილოცვა

### ტატო როსტომაშვილს



**ჩემო** საყვარელო, ჯერ-ჯერობით ერთადერთო შვილიშვილო ტატო, გილოცავ დაბადების დღეს. შენ უკვე 2 წლის ხარ – თბილი, კაცთმოყვარე, მაგრამ, ცელქი და დაუდეგარი. მიხარია და მიყვარს შენი ამქვეყნად მოსვლის დღე. შენ ხომ ჩვენს ოჯახს და ჩვენს დიდ სანათესაოს დიდი სიხარული მოუტანე, უფრო მეტად გაგვითბე გულები და მიგვახვედრე, რომ ადამიანის შრომას მაშინ აქვს ფასი, თუ მისი ოჯახის ჭერს პატარის ტიტინი და ფუსფუსი ავსებს და ალამაზებს. გაიზარდე ჩემო ვაჟკაცო, გაიზარდე და გაიხარე ისეთ საქართველოში, სადაც შენ და შენს თანატოლებს მშვიდობიანი ცა დაგიფარავთ და სადაც ნაყოფიერი მიწის ბატონ-პატრონი თქვენვე იქნებით.

მიყვარხარ და მეიმედები.

*სიყვარულით პაპა – ტარიელ როსტომაშვილი*

---

**დაბადებიდან** 80 წლის შესრულებას ვულოცავ პატარძეულელ **მიტო ტოგონიძეს** – ქართული ჭიდაობის დიდ გულშემატკივარსა და პატარძეულელების ამაგდარ მწვრთნელს ქართულ ჭიდაობასა და ფეხბურთში – ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს და გაგახაროს პატარძეულელი ახალგაზრდების სპორტული წარმატებებით.



*გივი ეპიტაშვილი*

## ბადრი მჭედლიშვილის ხსოვნის ტურნირი კაკაბეთში



**6 აგვისტოს** კაკაბეთის საჭიდაო არენაზე ჩატარდა აქაური ახალგაზრდა ფალავნის, აფხაზეთში გმირულად დაღუპული ვაჟკაცის ბადრი მჭედლიშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ტურნირში, რომელსაც მთავარი მსაჯის რანგში სჯიდა ასევე აქაური ფალავანი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში უშანგი კუზანაშვილი, მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ტერიტორიულ ორგანოებში მოქმედი საჭიდაო სექციების აღსაზრდელები და ვეტერანი მოჭიდავეები.

ასპარეზობა, 10 წონით კატეგორიაში ჩატარდა და იგი 27 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს. ამ წონაში ჩემპიონი გახდა დავით კევლიშვილი, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა გიორგი ნაცვლიშვილი, მესამეზე – გიორგი გალუსტოვი.

შემდეგ 30 კგ წონითი კატეგორიაში იმარჯვა ჯამლეთ სვიმონიშვილმა, მეორე ადგილზე გავიდა გიორგი ზუკაკიშვილი, მესამეზე – ლევან ჩახვაშვილი.

35 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი ნიკა ჩოკოშვილი აღმოჩნდა, მეორე ადგილი დაიკავა საბა ოთიაშვილმა, მესამე – გეგა მასურაშვილმა.

40 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა გიორგი დურიშვილმა, მეორე – ლექსო ზუკაკიშვილმა, მესამე – ლევან კევლიშვილმა.

45 კგ წონითი კატეგორიაში სულ ორი ფალავანი გამოდიოდა, რომელთაგანაც იმარჯვა თორნიკე ოდიკაძემ, მეორე პრიზიორი კი იმედა ცხოვრებაძე გახდა.

გიორგი ცერცვაძე პირველ ადგილზე გავიდა 50 კგ წონითი კატეგორიაში, მეორე ადგილი დაიკავა ნოდარ ოქრომჭედლიშვილმა, მესამე – ვასილ ბუჩაშვილმა.

55 კგ წონითი კატეგორიაში ვასილ ოთიაშვილი იყო უძლიერესი, მეორე ადგილი დაიკავა თემურ დურიშვილმა, მესამე – თამაზ მეკოკიშვილმა.

65 კგ წონითი კატეგორიაში საპრიზო სამეულის ადგილები ასე განაწილდა: პირველ ადგილზე გავიდა შმაგი მჭედლიშვილი, მეორეზე – გოგიტა მღებრიშვილი, მესამეზე – გოგიტა აბაზაშვილი.

75 კგ წონითი კატეგორიაში გამარჯვებული ნუგზარ ჭიკაძე აღმოჩნდა, მეორე ადგილზე გავიდა ბექა ტერტერაშვილი, მესამეზე – ვასილ ვოროშილოვი.

ტურნირის დამამთავრებელი აბსოლუტური ფალავნობა კი ვეტერან გარეჯელ ფალავნებს შორის ჩატარდა. აქ მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ნიკა კაპანაძე. პირველი და მეორე ადგილისათვის სოსო ათაბეგაშვილისა და ქართლოს თედიაშვილის შერკინება უშედეგოდ დასრულდა.

ტურნირის ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ აიპ საგარეჯოს „სპორტგაერთიანების“ შესაბამისი ჯილდოებით.

## მადლობა

**მადლობას** ვუხდი ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს*** **გიორგი გზირიშვილს,** მის ***მოადგილეებს*** **დავით ივანიშვილსა** და **გიორგი რევაზიშვილს,** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროს **თინათინ ძაბილაშვილს**, გამგეობის სოციალური დახმარებების განყოფილების გამგეს **სოფიო შაქარაშვილს,** ამ განყოფილების სპეციალისტს **ქეთევან ბედიაშვილს** ჩემდამი გამოჩენილი დიდი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

*სოფიო არჩუაძე-უსტიაშვილი,*
***საგარეჯო***

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru